სიზმრადნახული

ლაჟვარდი იყო სუფთა და ღია,
მიმზერდა იის ცისფერი თვალი,
მღეროდა ვიღაც და სამაიას
ცეკვავდა სამი უცნობი ქალი.

გადავიარე სინათლის ზღვარი
და უცნაური ვნახე ხატება –
ჯერ არ მინახავს ქვეყნად ამგვარი
გასაოცარი გამოცხადება.

სულიერივით დარბოდნენ ხენი,
ფრინველებს ლხენით ვესროდი ისარს,
მოჰყავდათ ჩემსკენ ფასკუნჯებს ფრენით
პირმშვენიერი მნათობი დღისა.

ისე ბრწყინავდა ვერცხლის ხეხილი,
გაოცდებოდით ფერთამხილველი, –
ოქროს მთა–ბარი და მთაგრეხილი,
გამოცხადება გასაკვირველი!

ოქროს გალიებს, ოქროს ზარებით,
და გალიებში სამოთხის ჩიტებს
ვუმზერდი, ვიდექ ფერნამკრთალები
და გრძნეულივით ვუსმენდი კიდეც.

და მერე, როცა მეტოქემ მთვარის
გადამაფარა სინათლის კალთა, –
უეცრად გაქრა ზმანება მკრთალი
განათებული ოცნების კართან.

1938